

## AGRO NEWS GEORGIA

### 9 ქართულმა ღვინის კომპანიამ მონაწილეობა მიიღო "Real Wine Fair 2014"-ში

ღვინის ეროვნული სააგენტოს დახმარებით 9 ქართული ღვინის კომპანია, რომლებიც აწარმოებენ ე.წ. „ქვევრის ღვინოს“ (ქვევრი არის ტრადიციული ქართული ღვინის შესანახი ჭურჭელი), მონაწილეობას მიიღებენ ნატურალური ღვინის საერთაშორისო გამოფენაში "Real Wine Fair 2014". ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით ღვინის 150 საწარმო მთელი მსოფლიოდან, გაიმართა 13-14 აპრილს ლონდონში. სააგენტოს ცნობით, საქართველო წარმოდგენილია გამოფენაზე უკვე მესამედ. წლებანდელი მონაწილეები იყვნენ „იაგოს ღვინის მარანი“, „ნიკოლაძის საოჯახო მარანი“, „ხობზის ცრემლები“, „ჯაყელის საოჯახო ღვინო“, „ანთაძის ღვინო“, „კახა ბერიშვილი“, „ტელედა“, „ოქროს ღვინო და იბერიული“. სააგენტოს ცნობით ღონისძიების ფარგლებში შოუ „ქართული ლხინი“ გაიმართა. ღონისძიებაზე ქართული ტრადიციული კერძები და ღვინო, ასევე სიმღერა და სადღეგრძელოები იყო წარმოდგენილი.

*Daily News, 15 აპრილი, 2014*

### საქართველო გახდა WWTG-ს თავმჯდომარე ქვეყანა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველო გახდა World Wine Trade Group-ის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა. WWTG-ს საქართველო უხელმძღვანელებს 1 წლის განმავლობაში 2015 წლის აპრილამდე. საქართველოსთვის აშშ-სგან თავმჯდომარეობის გადაცემის ცერემონიალი გაიმართა WWTG-ს ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში ბრიუსელში (10-11 აპრილს). შეხვედრაზე გადაწყდა, რომ WWTG-ს მომდევნო პლენარული სხდომა გაიმართება თბილისში 25-27 აგვისტოს. უნდა აღინიშნოს, რომ WWTG არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს ღვინის ვაჭრობის გამარტივებას წევრ ქვეყნებს შორის. მისი წევრები არიან არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, საქართველო, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და აშშ.

*Daily News, 15 აპრილი, 2014*

### ნათესების ფართობი გაიზარდა 17,02%-ით 2013 წელს

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, ნათესების ფართობმა 2013 წელს შეადგინა 303800 ჰა. თუ 2012 წლის მონაცემებს შევადარებთ, ფართობი გაიზარდა 17,02%-ით. ამასთან, ზამთრის ნათესების ფართობი 51800 ჰექტარია (კლევა - 4,25%), ხოლო გაზაფხულის - 252000 ჰა (ზრდა - 22,62%). მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ფართობმა მიაღწია 231-300 ჰა-ს (ზრდა - 23,75%), კარტოფილის და ბოსტნეულის - 45500 ჰა-ს (კლევა - 13,49%), ხოლო სხვა კულტურების - 27000 ჰა-ს (ზრდა - 34,32%). ერთწლიან კულტურებში სიმინდი პირველ ადგილზეა დათესილი ტერიტორიების თვალსაზრისით (146900 ჰა, ზრდა - 27,96%), შემდეგ ადგილზეა ხორბალი (44200 ჰა, კლევა - 11,6%) და ქერი (29,5 ჰა, ზრდა - 2,07-ჯერ). საქსტატი დაზუსტებულ მონაცემებს ივნისში გამოაქვეყნებს.

*Daily News, 15 აპრილი, 2014*

### სურსათის უვნებლობა დანახარჯებსაც მოითხოვს

სტატიაში მოცემულია „ჯორჯიან ბიზნეს ინსაიტის“ დირექტორის ირაკლი ლექვიანძის კომენტარი ფასების ზრდის შესახებ იმპორტის წინა ვეტერინარულ კონტროლზე. ექსპერტი აცხადებს, რომ იმპორტის კონტროლის გამკაცრების ერთ-ერთი მიზეზი ევროკავშირთან მოსალოდნელი ასოცირების ხელშეკრულებაა. მეორე მიზეზია ხელისუფლების ნება, უკეთ შემოწმდეს შემოტანილი სურსათი. ლექვიანძე აცხადებს: „ცხადია, ახალი რეგულაციები იმპორტიორი კომპანიების ხარჯებს გაზრდის, მაგრამ ისინი საქმეს უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდებიან“. გაზეთის კითხვაზე, „უხარისხო, ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტები საქართველოში შემოდის ამჟამად?“ ექსპერტის პასუხი იყო: „სამწუხაროდ, წლების წინ

დაწყებული პროცესი ინერციით გრძელდება. პირდაპირ გეტყვით, საშინელი მდგომარეობაა ხორც-პროდუქტების ბაზარზე“, მიუთითებს ის.  
*ECONOMIC PRESS MONITOR, 14 აპრილი, 2014*

**შელავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-2 კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხების დაახლოებით 39% მეცხოველეობის ანგარიშზე მოდის**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 168,6 მლნ ლარი სესხიდან, რომელიც გაცემული იყო შელავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-2 კომპონენტის ფარგლებში (სესხები საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის), ყველაზე დიდი წილი (39,1%, ანუ 65,9 მლნ ლარი) მოდის მესაქონლეობაზე. ამ სფეროში 3 954 სესხი გაიცა. მევენახეობის ანგარიშზეა 22,7% (38,3 მლნ ლარი, 1 545 სესხი), მარცვლეულის წარმოებაზე მოდის 8,9% (15 მილიონი ლარი, 593 სესხი), შერეული მემცენარეობა - 5,1% (8,6 მილიონი ლარი, 680 სესხი), შერეული მეცხოველეობა - 5% (8,4 მლნ ლარი, 306 სესხი), ბოსტნეულის მოყვანა - 4,1% (6,9 მილიონი ლარი, 483 სესხი). გარდა ამისა, შერეული მემცენარეობა და მეცხოველეობა - 4% (6,7 მლნ ლარი, 525 სესხი), სასათბურე მეურნეობა - 3,1% (5,2 მილიონი ლარი, 426 სესხი), თევზჭერა - 2% (3,4 მლნ ლარი, 115 სესხი), მეფრინველეობა - 1,5% (2,6 მილიონი ლარი, 126 სესხი).

*Daily News, 11 აპრილი, 2014*

**1 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება ვაზის გაშენებაში ასპინძაში**

მესხის ჯიშის ვაზის გაშენება იგეგმება შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ტერასას“ ტერიტორიაზე სოფ ხიზაბავრაში (მესხეთ-ჯავახეთის რეგიონი, ასპინძის რაიონი). მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს შპს გაიყიდა 10000 ლარად გიორგი ნათენაძეზე, რომელმაც დააარსა „მესხეთ-ჯავახეთის ტრადიციული მეღვინეობის ასოციაცია“ თებერვალში. როგორც მთავრობაში განაცხადეს, ნათენაძემ თავის თავზე აიღო 1 მილიონი ლარის ინვესტიციები შპს-ს კომპლექსის რეაბილიტაციაში და ვაზის გაშენებაში, სადაც დასაქმდება 150 ადგილობრივი მცხოვრები. შესაბამისი ბრძანება, რომელიც მიღებულ იქნა მთავრობის დღევანდელ შეხვედრაზე, შემუშავებულ იქნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

*Daily News, 10 აპრილი, 2014*

**სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოების შექმნაზე გათვალისწინებული შელავათიანი სესხების 28% ღვინის საწარმოებმა აიღეს**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი საწარმოების შესაქმნელად მე-3 კომპონენტის ფარგლებში გამოყოფილი 21,4 მილიონი ლარის მთლიანი სესხიდან (ახალი საწარმოს შექმნა ან ძველის გადაიარაღება), ღვინის ქარხნებზე მოდის ყველაზე დიდი წილი - 28% (6 მილიონი ლარი). ამ სესხების ფარგლებში 10 ახალი ღვინის საწარმო დაფუძნდა. გარდა ამისა, 13 სესხი, საერთო რაოდენობით - 4,8 მილიონი ლარი (მე-3 კომპონენტის მთლიანი სესხების 22,5%), გაიცა ღვინის საცავებზე, 7 სესხი - 1,95 მილიონი ლარი (9,1%) - მეფრინველეობაზე, 2 სესხი - 1,1 მილიონი ლარი (5,2%) - ღორების მოშენებაზე, 2 სესხი - 1,09 მლნ ლარი (5,1%) - მარცვლეულის საშრობებზე, ხოლო 5 სესხი - 819 608 ლარი (3,8%) - სასათბურე მეურნეობებზე. დარჩენილი 5,6 მილიონი ლარი (მთლიანი მოცულობის 26,4%) გაიცა მევენახეობაზე (3 სესხი), რძის გადამამუშავებელ საწარმოებზე (6 სესხი), მებოსტნეობაზე (3 სესხი), მეცხოველეობაზე (5 სესხი), თხილის გადამამუშავებაზე (2 სესხი), მეცხვარეობაზე (2 სესხი), მეთევზეობაზე (2 სესხი), საქონლის საკვების წარმოებაზე (2 სესხი), შესაფუთი მასალების წარმოებაზე (1 სესხი) და ა.შ.

*Daily News, 10 აპრილი, 2014*

**70 ახალი საწარმო დაარსდა შელავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ერთი წლის განმავლობაში შელავათიანი აგროსესხების პროგრამის შედეგად 70 ახალი საწარმო დააარსდა (პროგრამის მე-3 კომპონენტი - ახალი საწარმოების დაარსება, არსებულის გადაიარაღება). სამინისტროს თანახმად, საბოლოო ჯამში გაცემული სესხების საერთო მოცულობამ შეადგინა 21,4 მილიონი ლარი, რაც ამ

კომპონენტის ფარგლებში სესხების 22,1%-ია. ყველაზე დიდი ნაწილი (8,4 მლნ ლარი, ანუ 39,2%) გაიცა კახეთში, სადაც 26 ახალი საწარმო შეიქმნა. ქვემო ქართლი – 30,5%-ს (6,5 მლნ ლარი, 17 საწარმო), შიდა ქართლი – 10,4%-ს (2,2 მლნ ლარი, 10 საწარმო), სამეგრელო – 7,4%-ს (1,6 მლნ ლარი, 2 საწარმო), სამცხე – ჯავახეთი – 3,9%-ს (831 868 ლარი, 3 საწარმო), გურია – 2,5%-ს (534 147 ლარი, 3 საწარმო), აჭარა – 2,4%-ს (516 634 ლარი, 3 საწარმო), მცხეთა-მთიანეთი – 2,4%-ს (513 131 ლარი, 2 საწარმო), იმერეთი – 1,4%-ს (297 721 ლარი, 5 საწარმო). შეგახსენებთ, რომ მე-3 კომპონენტი გულისხმობს სესხებს 30000-600000 აშშ დოლარამდე 84 თვის ვადით. საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია სესხის ხანგრძლივობაზე, მაგრამ არ აღემატება 15%-ს, საიდანაც 12% სუბსიდირებულია სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ.

*Daily News, 10 აპრილი, 2014*

### **317,5 მლნ ლარი გაიცა შეღავათიანი სესხების პროგრამით ერთი წლის განმავლობაში**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ერთი წლის განმავლობაში შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების მთლიანმა მოცულობამ (2013 წლის 27 მარტიდან და 2014 წლის 4 აპრილამდე), შეადგინა 317,5 მილიონი ლარი. ეს სესხები გაიცა 14 100 ბენეფიციარზე. 53,1% (168,6 მლნ ლარი) გაიცა მე-2 კომპონენტის (სესხები საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის) ფარგლებში. შემდეგი იყო მე-3 კომპონენტი (ახალი საწარმოს შექმნა ან არსებულის გადაიარაღება) – 30,5% (96,99 მილიონი ლარი 482 ბენეფიციარს), მე-5 კომპონენტი (ყურძნის შესყიდვის დაფინანსება) – 15,6% (49,6 მლნ ლარი 48 ბენეფიციარზე), პირველი კომპონენტი (უპროცენტო სესხები საქონლის სანაცვლოდ მცირე ფერმერებისთვის) – 0,6% (1,8 მილიონი ლარი 4 309 ბენეფიციარზე). მე-6 კომპონენტის (მანდარინის შექმნა) ფარგლებში მხოლოდ 2 სესხი გაიცა – 450 000 ლარი (მთლიანი სესხების 0,14%). ახალ კომპონენტზე, რომელიც მოიცავს გრანტის ნაწილს, სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი ჩხეიძემ განუცხადა „სარკეს“, რომ დაახლოებით 150 განაცხადი არის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე და აღნიშნა, რომ ყველა მათგანი არ დაკმაყოფილდება.

*Daily News, 10 აპრილი, 2014*

### **11 ქართული ღვინის კომპანია მონაწილეობას მიიღებს იტალიაში საერთაშორისო გამოფენაში**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, 11 ქართული ღვინის კომპანია მონაწილეობას იღებს ღვინის და ალკოჰოლური სასმელების 48-ე საერთაშორისო გამოფენაში "Vinatly 2014", რომელიც იმართება ვერონაში (6-9 აპრილს). სააგენტოს განცხადებით, ეს კომპანიები ჩართული არიან ე.წ. „ქვევრის ღვინის“ წარმოებაში (ქვევრი – ქართული ტრადიციული ღვინის შესანახი ჭურჭელი). სააგენტოს ცნობით, ეს კომპანიებია: „იაგოს ღვინო“, „ჩვენი ღვინო“, „არტანის ღვინო“, „ნიკო ანთაძის ღვინო“, „ნიკოლაძის ღვინის მარანი“, „ციხელაშვილის ღვინის მარანი“, „ოქროსფერი ღვინო“, „ხობზის ცრემლები“, „ჯაყელის ღვინის მარანი“, „ტელედა“ და „ნიკას ღვინო“. "Vinatly 2014"-ში მონაწილეობას იღებს 4 000 მეღვინე მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნიდან.

*Daily News, 8 აპრილი, 2014*

### **ღვინის ექსპორტი წლიდან წლამდე 3,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო კონიაკის ექსპორტი პირველ კვარტალში – 2,1-ჯერ**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ღვინის ექსპორტმა პირველ კვარტალში შეადგინა 51,2 მილიონი აშშ დოლარი, რაც 2013 წლის ამავე პერიოდის მონაცემს 3,9-ჯერ აღემატება. 15,49 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) – 3,4-ჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს, გავიდა ექსპორტზე. იანვარ-მარტში ქართული ღვინის ხუთი მთავარი ბაზარი იყო რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ლატვია. ჩინეთი და ლიტვა არიან მეექვსე და მეშვიდე ადგილებზე. რუსეთი არის ლიდერი – 71% მთლიან ექსპორტში. საანგარიშო კვარტალში 11,01 მილიონი ბოთლი იყო ექსპორტირებული ამ ქვეყანაში, განაცხადეს სააგენტოში. სააგენტოს ინფორმაციით, კონიაკის ექსპორტი საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 9 ქვეყანაში, რამაც 14,49 მილიონი აშშ დოლარი (წლიური ზრდა – 2,1-ჯერ) შეადგინა. ექსპორტმა შეადგინა 3,9 მლნ ბოთლი (0,5 ლ). ამ

მხრივ ლიდერი იყო უკრაინა, სადაც 2,5 მილიონი ბოთლი იქნა ექსპორტირებული (მთლიანი კონიაკის ექსპორტის 64,1%), ხოლო რუსეთი იყო მეორე ადგილზე 1,2 მლნ ბოთლით (30,8%).

*Daily News, 8 აპრილი, 2014*

### **საქართველომ უმასპინძლა წლის ძირითად ღონისძიებას ღვინის ტურიზმის სექტორში**

ქართული მეღვინეობის მკვლევარის გიორგი ბარისაშვილის სიტყვებით, ღვინის ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ემბარგო მოიხსნა, „მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ რაოდენობა ყოველთვის ეწინააღმდეგება ხარისხს“. „ქართული ღვინო აკმაყოფილებს მოთხოვნას რუსულენოვან ქვეყნებში, მაგრამ ევროპის მომხმარებელი გაცილებით უფრო პრეტენზიულია და დახვეწილი გემოვნება აქვს“, ამბობს მკვლევარი. ღვინის ტურიზმის პერსპექტივებზე საუბრისას ბარისაშვილი აცხადებს: „პრობლემა არაკვალიფიციური გიდები, რადგან მათ უმრავლესობას არ აქვს საბაზისო ცოდნა მეღვინეობაში და უმრავლესობა უცხოელებს არარეალურ ზღაპრებს უამბობს“. ამ კუთხით, ბარისაშვილი ხაზს უსვამს ღვინის ტურიზმის მე-6 საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობას, რომელიც საქართველოში პირველად ჩატარდა (29-30 მარტს). წლების განმავლობაში კონფერენცია ტარდებოდა ღვინის ტურიზმის წამყვან ქვეყნებში: იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ხორვატიაში. სტატიაში ასევე აქცენტი კეთდება ქართული ღვინის ექსპორტის შეჩერებაზე ბელარუსში, რაც ადგილობრივ მედიაში გაშუქდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ ექსპორტი არ შეწყვეტილა, მაგრამ დაბრკოლებები (თუმცა, გაურკვეველი) არსებობს (გამოქვეყნდა 2 აპრილს).

*ECONOMIC PRESS MONITOR, 3 აპრილი, 2014*

### **6 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დანიშნულება შეიცვალა**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით 6 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დანიშნულება შეიცვალა არასასოფლო-სამეურნეოდ. ამ ნაკვეთების საერთო ფართობი შეადგენს 4188 კვ მეტრს. ამ მიწის თითქმის ნახევარი მდებარეობს ბორჯომის რაიონში (2000 კვ. მ, მესაკუთრე - შპს Red-Co). შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა შეცვალა ამ წელს 75 მიწის ნაკვეთის, საერთო ფართობით 396004 კვმ, დანიშნულება.

*Daily News, 2 აპრილი, 2014*

### **სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ამჟამად პრაქტიკულად ყველა ძირითადი და დისტრიბუციის არხი გაწმენდილია**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, დღეის მონაცემებით, „პრაქტიკულად ყველა ძირითადი და სადისტრიბუციო არხი გასუფთავებულია“ ქვეყნის სარწყავ სისტემაში. შედეგად, სარწყავი ტერიტორია გასამშაგდება ამ წელს წინა წლებთან შედარებით და მიაღწევს 88000 ჰა-ს, აცხადებენ სამინისტროში და მიუთითებენ, რომ საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქცია 40-50%-ით. მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც ჩატარდა რეაბილიტაცია, სამელიორაციო მომსახურება გაუმჯობესდა 4500 ჰა-ზე, დამატებითი მორწყვა ხდება 2000 ჰა-ზე, ხოლო დაახლოებით 20 სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი) მიიღებს წყალს ზედა სარწყავი არხით. შეგახსენებთ, რომ ამ არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 6,85 მლნ ლარს. სამუშაოები დაიწყო გასული წლის ივნისში და დასრულდება ამ წლის ივნისში და ჩატარდება CTC კომპანიის მიერ შერჩეული ტენდერით. სამინისტროს თანახმად, სამუშაოები 2013 წელს დაგეგმილი იყო 306 ობიექტზე და ამ დროისათვის 300 ობიექტზე უკვე დასრულებულია. სულ 1291 კმ ძირითადი და სადისტრიბუციო არხი გაიწმინდა და ჩაუტარდა რეაბილიტაცია. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2013 წელს 74000 ჰა მოირწყა, განაცხადეს სამინისტროში.

*Daily News, 2 აპრილი, 2014*

## **Dutch Vandrie Group ეწვობა საქართველოს საინვესტიციო პოტენციალს**

ჰოლანდიური რძის და ხორცის მწარმოებელი Vandrie Group-ის ხელმძღვანელობა საქართველოში იმყოფება 2 დღიანი ვიზიტით, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ. სააგენტოს ცნობით, პირველი ვიზიტის მიზანია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გაცნობა და ხორცის წარმოების პერსპექტივების განხილვა. ვიზიტის ფარგლებში, ჰოლანდიის დელეგაცია გეგმავს შეხვედრების გამართვას საქართველოს ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიასთან, ასევე საინვესტიციო და პარტნიორობის ფონდებთან. საქსტატის ინფორმაციით, ჰოლანდიის ინვესტიციებმა 2013 წელს შეადგინა 179,7 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5,1-ჯერ აღემატება. საქართველოს ექსპორტმა ნიდერლანდებში 2013 წელს შეადგინა 22,5 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა - 90,8%), ხოლო იმპორტი ამ ქვეყნიდან საქართველოში 124,27 მლნ აშშ დოლარია (კლება - 12,9%).

*Daily News, 31 მარტი, 2014*

## **თბილისში გაიმართება ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, ღვინის ტურიზმის მე-6 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება 29-30 მარტს. ეს ღონისძიება, რომელიც პირველად გაიმართება თბილისში, ორგანიზებულია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ. ადმინისტრაციის განცხადებით, მეღვინეობის დარგის სპეციალისტები, დიდი ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები და ღვინის იმპორტიორები სხვადასხვა ქვეყნიდან (კანადა, ჩეხეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, პოლონეთი, რუსეთი, სინგაპური, სლოვენია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა და აშშ) განიხილავენ ღვინის ტურიზმის დარგის საკითხებს, სიახლეებს და ტენდენციებს. წინა კონფერენციები ჩატარდა იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიასა და ხორვატიაში.

*Daily News, 28 მარტი, 2014*

## **ივნისში საქართველო შევა მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე აცხადებს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), ხელმოწერა ივნისისთვის იგეგმება. მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება შევა ძალაში, საბაჟო მოსაკრებელი გაუქმდება, ხოლო ექსპორტი ევროკავშირში სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ჯანელიძე ამბობს, რომ ხელშეკრულების მიხედვით, 28 სატარიფო კატეგორია (სატარიფო სიის 0,3%) დაექვემდებარება ევროკავშირის „შესვლის ფასს“, ანუ ფიქსირებულ იმპორტის ფასს. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოებული პროდუქციის გაყიდვის ფასი იქნება ევროკავშირის მიერ დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი, გამყიდველი (იმპორტიორი) ვალდებული იქნება მოახდინოს განსხვავების კომპენსაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში (ანუ, თუ ფასი იქნება იგივე ან ფიქსირებულ ფასზე მეტი), ეს პროდუქცია გათავისუფლდება საბაჟო მოსაკრებლისგან, განმარტავს ჯანელიძე. ამასთან, ნიორი არის ერთადერთი პროდუქტი, რომელზეც საბაჟო მოსაკრებელი გაუქმდა, მაგრამ კვოტა არის დადგენილი. თუ მისი იმპორტი საქართველოდან გადააჭარბებს 220 ტონას, მაშინ საბაჟო მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს, აღნიშნავს ჯანელიძე. ჯანელიძე აცხადებს, რომ პროდუქციის 2770 ჯგუფი დაექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო კონტროლს. როდესაც ნებისმიერი პროდუქტის იმპორტი კალენდარული წლის განმავლობაში მიაღწევს ზღვრული დონის 70%-ს, ევროკავშირი აცნობებს საქართველოს, რომ უნდა წარადგინოს დასაბუთებული არგუმენტები იმპორტის შესაძლო სიჭარბის თაობაზე, მიუთითებს ჯანელიძე.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 24 მარტი, 2014*

## სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაცია მარტივდება

დღეს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ და სანოტარო პალატამ ხელი მოაწერეს სამმხრივ თანამშრომლობის მემორანდუმს. ხელმოწერებმა განაცხადეს, რომ მემორანდუმის მიზანია უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებას. კერძოდ, ერთი ფანჯრის პრინციპი დაინერგება, ხოლო ნოტარიუსებს, რომლებიც უფლებამოსილი იქნებიან საჯარო რეესტრის მიერ, ექნებათ უფლება მიიღონ განაცხადები ამ კოოპერატივების რეგისტრაციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კოოპერატივები, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ანიჭებს მათ კოოპერატივის სტატუსს.

*Daily News, 21 მარტი, 2014*

**„ყვარლის ბაგამ“ ააშენა სანაშენე მეურნეობა შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მეშვეობით**  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, შპს ყვარლის ბაგამ ააშენა სანაშენე ფერმა ყვარლის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი) 600000 აშშ დოლარი სესხით, რომელიც მიიღო შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მე-3 კომპონენტის ფარგლებში. კომპანიამ უკვე დაასრულა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. კომპანიამ ასევე შეიძინა ჰოლშტეინის ჯიშის 132 დეკუელი. ფერმა ყოველდღიურად 3 ტ რძეს აწარმოებს. პროდუქცია მთლიანად გაიყიდა ადგილობრივ ბაზარზე. ყვარლის ბაგა აწარმოებს ნედლეულს პირუტყვის საკვებისთვის საკუთარ მიწაზე. სასუქების შესაძენად კომპანიამ მიიღო სესხად 100000 ლარი შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა დაიწყო 2013 წლის 27 მარტს. ამ წლის 13 მარტისთვის სესხების მთლიანმა მოცულობამ 287,8 მილიონი ლარი შეადგინა. პირველი კომპონენტის ფარგლებში (უპროცენტო კრედიტი საქონლის სანაცვლოდ) კრედიტი 1,1 მილიონი ლარი გაიცა 2685 ბენეფიციარზე, მე-2 კომპონენტის ფარგლებში (საბრუნავი კაპიტალის შევსება) – 150,4 მილიონი ლარი მიიღო 8072 ბენეფიციარმა, მე-3 კომპონენტის (სასოფლო-სამეურნეო საწარმოს აღჭურვა) – 49838 მილიონი აშშ დოლარი მიიღო 430 ბენეფიციარმა (მათ შორის, 63 საწარმოს წარმოებაში გაშვება), მე-5 კომპონენტის ფარგლებში – 48 ყურძნის გადამამუშავებელმა საწარმომ მიიღო სესხი 41164 მლნ ლარი და 4,83 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო მე-6 კომპონენტის ფარგლებში – 2 მანდარინის შემსყიდველმა საწარმომ მიიღო 450000 ლარი.

*Daily News, 18 მარტი, 2014*

## 51 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დანიშნულება შეიცვალა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით 51 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დანიშნულება შეიცვალა არასასოფლო-სამეურნეოდ. საქმე ეხება 381 509 კვადრატულ მეტრ საერთო ფართობს. აღნიშნულიდან ყველაზე დიდი ნაკვეთებია 134852 მ<sup>2</sup> ხობში (სამეგრელო), რომელიც ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100000 კვადრატული მეტრი ყაზბეგში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) და 52731 კვ მ<sup>2</sup> წალკაში (ქვემო ქართლის რეგიონი). შეგახსენებთ, რომ პრემიერის განკარგულების შესაბამისად იანვარში დანიშნულება შეიცვალა 24 ნაკვეთმა, საერთო ფართობით 14535 მ<sup>2</sup>.

*DAILY NEWS, 17 მარტი, 2014*

## „ასკანელი ძმები“ შევა კანადის ბაზარზე ივნისში

„ასკანელი ძმების“ ცნობით, მათი ღვინოები „ტვიში“ და „ქინმმარაული“ გაიყიდება კანადის ბაზარზე. კომპანიამ გაიმარჯვა კანადის Canada's Crown enterprise LCBO-ს (Liquor Control Board of Ontario) ტენდერში. ჩვენმა პროდუქციამ დააკმაყოფილა ხარისხის მოთხოვნები და მისი მიწოდება კანადაში ივნისში დაიწყება, აღნიშნეს კომპანიაში. როგორც „ასკანელი ძმების“ წარმომადგენელმა განუცხადა „სარკეს“, პირველ ეტაპზე 100000 ბოთლი ღვინო გავა კანადაში.

უნდა აღინიშნოს, რომ LCBO ქსელი მოიცავს 634 საცალო მაღაზიას, რომლებიც სთავაზობენ კლიენტებს 18000 დასახელების ალკოჰოლურ პროდუქციას.  
*DAILY NEWS, 14 მარტი, 2014*

## **AGRO NEWS ARMENIA**

### **სომხეთის კონიაკისა და ღვინის წარმოება გაიზარდა 1,8% და 3,4%-ით**

ალკოჰოლური სასმელების წარმოება სომხეთის რესპუბლიკაში მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში გაიზარდა. კონიაკის წარმოება გაიზარდა 1,8 პროცენტით მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით და 2 მლნ 253,7 ათას ლიტრს მიაღწია, არყის წარმოება გაიზარდა 1,6 პროცენტით და მიაღწია 1 მლნ 442,4 ათას ლიტრს. სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების შესაბამისად, ღვინის წარმოების მოცულობა ქვეყანაში გაიზარდა 3,4 პროცენტით და მიაღწია 678,7 ათას ლიტრს.

Armenpress, 01.04.2014

### **სასოფლო-სამეურნეო და თევზჭერის პროდუქცია იზრდება სომხეთში**

2014 წლის იანვარ-თებერვალში 2013 წლის იგივე პერიოდთან შედარებით სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის პროდუქციის მოცულობა გაიზარდა სომხეთში 6,2%-ით და 46,7 მილიარდი დრამი შეადგინა. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2014 წლის იანვარ-თებერვალში სოფლის მეურნეობის მთლიანი გამოდუშავების მაჩვენებელი გაიზარდა 4,9%-ით და მიაღწია 39,7 მილიარდ დრამს, ხოლო თევზის წარმოება - 15,9%-ზე მეტით და 6,9 მილიარდი დრამი შეადგინა. Armenpress იუწყება, რომ მხოლოდ თებერვალში 1 064,3 ტონა თევზი დაიჭირეს სომხეთში და ეს რაოდენობა მთლიანად გაიყიდა. 58,6 ათასი ტონა რძე დამზადდა რესპუბლიკაში, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 10,8%-ით მეტია. კვერცხის წარმოება გაიზარდა თებერვალში 5,6%-ით და მიაღწია 32,1 მილიონ ცალს.

Armenpress, 01.04.2014

### **სომხეთის სოფლის მეურნეობა სერიოზულად დაზარალდა უკანასკნელი ქარბუქის დროს**

უპრეცედენტო გაზაფხულის ქარბუქმა და ყინვამ გადაუარა სომხეთს მთელი კვირის განმავლობაში, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ სოფლის მეურნეობას. დიდთოვლობამ ასევე დაბლოკა ზოგიერთი გზები და მთავრობა აიძულა შეეწყვიტა გაკვეთილები სკოლებში და უნივერსიტეტებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეროვნულმა მეტეოროლოგიურმა სამსახურმა გააფრთხილა მოსახლეობა ტემპერატურის შემდგომი ვარდნის თაობაზე. ფერმერებს მეხილეობის რეგიონებში ერევნის სამხრეთით და დასავლეთით სერიოზული დარტყმა მიაყენა უაღრესად უჩვეულო ამინდმა და გაანადგურა ადრეული კვირტები ბაღებში, რაც მათი მოკრძალებული შემოსავალის ძირითადი წყაროა. მძიმე შედეგები განსაკუთრებით საგრძნობია სამხრეთ არმავირის პროვინციაში. ფერმერებმა ორი ადგილობრივი სოფლიდან განუცხადეს RFE/RL's სომხეთის სამსახურს (Azatutyun.am), რომ ისინი თითქმის ვერ მიიღებენ გარგარის, ატმის, ქლიავის ან სხვა ხილის მოსავალს ამ ზაფხულს. „ჩემი მოსავლის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი დაიკარგა“, განაცხადა სოფელ ვოსკეჰატის მცხოვრებმა და ყინვით მიყენებული დაზიანებები გვაჩვენა ხეებზე. „ჩემი ჭალა გაიყინა შარშან და იგივე მოხდა ახლაც“, დასძინა მან. „მე 60 წლის ვარ და არ მინახავს ასეთი დიდთოვლობა მარტის დასასრულს,“ განაცხადა ქალბატონმა მეზობელ სოფ. ჰოვტამეჯიდან. „არაფერი არ გადარჩა“. სტიქიამ ასევე დაარტყა გარგარის ვრცელ ჭალებს არაგაცოტნის დაბლობ ადგილებში მთიან პროვინციაში ცენტრალურ სომხეთში. „ყინვამ გაანადგურა მთელი მოსავალი“, განაცხადა ფერმერმა ადგილობრივ სოფ. ლერნამერძში. ქარბუქმა ზიანი მიაყენა სოფლის მოსახლეობის მეურნეობებს და საფრთხე შეუქმნა მათ გადარჩენას მომდევნო თვეებში და მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო სესხების გადახდას კომერციულ ბანკებში. მკრტიჩ ჰოვანისიანმა, შუახნის ფერმერმა ჰოვტამეჯიდან, განაცხადა, რომ მას არ აქვს არჩევანი, გარდა ახალი სესხის აღებისა, რათა დაფაროს არსებული. არც ის და არც სოფლის სხვა მცხოვრებლები არ ელიან რაიმე მნიშვნელოვან კომპენსაციას

ხელისუფლების მხრიდან. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გასულ კვირას წინასწარ გააფრთხილა ფერმერები ტემპერატურის მოსალოდნელი მკვეთრი დაცემის შესახებ და ურჩია დაცვითი ღონისძიებების მიღება ზარალის შესამცირებლად. მაგრამ მათ არ ჰქონდათ დიდთოვლობის პროგნოზი, რამაც გაწეულ ძალისხმევას აზრი დაუკარგა. სამინისტრომ განაცხადა ორშაბათს, რომ ცივი ამინდები ოთხშაბათამდე გაგრძელდება და ფერმერებმა უნდა გაათბონ სათბურები და დაწვან შეშა, რათა დაიცვან ნათესები კვამლით. სამინისტროში ასევე განაცხადეს, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რათა შეაფასონ ზარალი სომხეთის სოფლის მეურნეობის სექტორში.

massispost.com, 31.03.14

### **სომხეთის ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი იზრდება**

2014 წლის 20 მარტისთვის 11 406,03 ტონა ახალი ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი (წინა წლის იგივე პერიოდის მონაცემია 3312,64 ტ) განხორციელდა სომხეთის რესპუბლიკიდან. სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა აცნობა Armenpress-ს, რომ ხილი და ბოსტნეული ძირითადად ექსპორტზე გაიგზავნა საქართველოს რესპუბლიკაში (8 815,58 ტონა), რუსეთის ფედერაციაში (2 486,97 ტონა), ერაყში (66,72 ტონა), არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში (36,60 ტონა) და უკრაინაში (0,16 ტონა).

*ერევანი, 20 მარტი, ARMENPRESS*

### **ლიბანური კომპანია ამერიკული თხილის ბაღებს გააშენებს სომხეთში**

ლიბანური კომპანია Gardenia Lebniz Farms ამერიკული თხილის ბაღებს გააშენებს სომხეთის კოტაიკის პროვინციაში, სადაც სხვადასხვა თხილის მოსავალს მიიღებენ, განაცხადეს სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ახალი ამბავი გახმაურდა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის სერგო კარაპეტიანის, სომხეთში ლიბანის ელჩის ჯინ მაკარონის, Gardenia Lebniz Farms-ის ხელმძღვანელის ნიკოლა აბუ ფაისალის და კომპანიის წარმომადგენელის ჯამილ აბდეიმის შეხვედრის შემდეგ. ლიბანურმა კომპანიამ უკვე შეარჩია 20 ჰექტარი მიწა იელვარდში და მოსამზადებელი სამუშაოები განახორციელა კალიფორნიის შტატიდან, აშშ, ჩამოტანილი ამერიკული თხილის პირველი ხეების დარგვისთვის. კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კომპანიის გარკვეული პროდუქცია, როგორცაა ზეთისხილი, სუნელები და მარცვალი, მალე გაიყიდება სომხეთის მაღაზიებში. სერგო კარაპეტიანი აცხადებს, რომ სრულად ითანამშრომლებს ლიბანურ კომპანიასთან. ლიბანური კომპანია ყიდის პროდუქციას 40-ზე მეტ ქვეყანაში.

### **სომხეთის საკრედიტო ორგანიზაციების სესხები სოფლის მეურნეობაში 1,8 პროცენტით გაიზარდა იანვარში და 40,7 მილიარდი დრამია**

სომხეთის 33 საკრედიტო ორგანიზაციის საერთო სესხი სოფლის მეურნეობაში 2014 წლის იანვრის ბოლოს დაახლოებით 40,7 მილიარდი დრამი იყო, რაც 1,8%-ით მეტია 2013 წლის დეკემბრის მონაცემზე, წერდა სომხეთის ცენტრალური ბანკის ყოველთვიური ბიულეტენი 2014 წლის იანვარში. სესხები მემცენარეობის სექტორში გაიზარდა 2 პროცენტით დეკემბრიდან და გახდა 18,8 მილიარდი დრამი, ხოლო სესხები მეცხოველეობის სექტორში გაიზარდა თითქმის 2 პროცენტით და 20,8 მილიარდ დრამს აღემატება. სესხები ვაჭრობის სექტორში დაეცა 21,8 მილიარდ დრამამდე, რაც 1,7%-ით ნაკლებია დეკემბრის მონაცემზე. სესხებმა საცალო ვაჭრობის სექტორში იანვარში შეადგინა 18,3 მლრდ დრამი და საბითუმო ვაჭრობაში – 3,2 მლრდ დრამი. სესხები წარმოებაში შემცირდა 1,6 პროცენტით და 10,4 მლრდ დრამი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 4 მლრდ დრამამდეა სესხები კვების მრეწველობაში. (1 აშშ დოლარი - 414,94 დრამი).

*ერევანი, 14 მარტი. / Arka*



## ტენდერები და განცხადებები

### საგრანტო კონკურსი მომხმარებლების დახმარების ცენტრების დაფუძნების თაობაზე საქართველოს რეგიონებში

ქვემოთ იხილეთ ბმული გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე მომხმარებლების დახმარების ცენტრების დაფუძნების თაობაზე საქართველოს რეგიონებში. ეს კონკურსი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სურსათის უვნებლობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროექტის ნაწილი და მას ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. განცხადების ტექსტი ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე -

<http://www.epfound.ge/english/whats-new/announcements/grant-competition-to-establish-consumer-assistance-centers-.html>

### სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ.

### საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი

ჩვენი წვერი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2014 წლის აპრილის გამოცემას გაეცანით [ამ მისამართზე](#).

<http://agrogeorgia.blog.com/>

### DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ინფორმაცია და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები: [www.dwvvg.ge](http://www.dwvvg.ge)

### DWV Agro Blog

გთხოვთ იხილოთ ჩვენი [AGRO BLOG](#) სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია და გინდათ მისი გაზიარება AGRO BLOG-ზე, გამოაგზავნეთ მისამართზე [agro@georgien.ahk.de](mailto:agro@georgien.ahk.de)

### Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე. <http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>  
<http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/>